საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11289/01
01/11/2021

11289-01-2-202111011530

შპს „ნეოგაზს“
მის: ქ. თბილისის, გაზაფხულის ქ. N18
ელ.ფოსტა: info@neogas.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის პირველი ოქტომბრის N17645 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N6-ში არსებული ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია).

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 12 ოქტომბრის 16-0121285215 წერილის თანახმად, 01.14.06.008.127 საკადასტრო კოდით რეგისტირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი ზონირების რუკით (დანართი 1) ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების **თანახმად, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) წარმოადგენს სპეციალურ ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს;** სპეცზ-1–ში დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს სკრინინგის გადაწყვეტილება.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე